საფარი SAPARI
ISFED
Kingdom of the Netherlands

ქალი კოორდინატორების გამოწვევები არჩევნებში

2023

ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი

რედაქტორი: შორენა გაბუნია

კვლევა მხარდაჭერილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ (Embassy of the Netherlands in Georgia). გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს საელჩოს პოზიციას.

©საფარი/SAPARI

თბილისი
2023

ქალი კოორდინატორების გამოწვევები არჩევნებში

შინაარსი

შესავალი 3

ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები. 4

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ტიპები 4

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის შესწავლის სირთულეები, მთავარი მოძალადე აქტორები და ძალადობის ინდიკატორები 6

ქართული რეალობა 9

კვლევის მიზანი, ამოცანა, მეთოდოლოგია, მეთოდი და მონაცემთა ანალიზი 11

თვისებრივი კვლევის შედეგები 13

საფრთხე მოსახლეობისგან 13

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა 14

დაშანტაჟება ადგილობრივი რელიგიური ლიდერების მხრიდან 18

სოციალური დახმარების მოხსნით და საცხოვრებელი სახლის დაკარგვით დაშინება 19

კოორდინატორის, ან მისი ოჯახის დასაქმებული წევრის/ახლო ნათესავის სამსახურიდან გათავისუფლებით მუქარა 21

ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად და სახელმწიფო უწყების პარტიული მიზნით გამოყენება 22

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ადევნება არჩევნების დღეს 23

სექსუალური შევიწროება 24

ბიულეტენისთვის ფოტოს გადაღება (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, სსკ 164-ე მუხლი) 25

ქვეყნის იძულებით დატოვება არჩევნების შემდეგ 26

მოუწესრიგებელი შრომითი ურთიერთობები 26

გენდერულ როლებზე მოლოდინი და ონლაინ სექსისტური სიძულვილის ენა 26

შეჯამება და რეკომენდაციები 30

გამოყენებული ლიტერატურა 33

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა მსოფლიოს მასშტაბით საგრძნობლად გაიზარდა. ამომრჩეველი და კანდიდატი ქალების პოლიტიკაში ჩართულობა დღესდღეობით იმაზე მაღალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მაგალითად, მსოფლიოში 10 000-ზე მეტი ქალი პარლამენტარია, მილიონზე მეტი კი პოლიტიკურ პარტიებში საქმიანობს. დღესდღეობით, ქალები ბევრად აქტიურ როლს ასრულებენ პოლიტიკური პროცესების მართვაში, ვიდრე ეს წარსულში ხდებოდა (UN Women and UNDP 2018). მიუხედავად ამ მიღწევებისა, პეკინის 1995 წლის სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში დასახული ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გენდერული ბალანსის ამოცანა დღემდე მიუღწეველია. ქალები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში სხვადასხვა დონეზე. საქართველოშიც, მიუხედავად ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდილი მაჩვენებლებისა, ის მაინც ვერ შეედრება კაცების პოლიტიკაში ჩართულობის დონეს[1].

ქალების დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, პოლიტიკაში (VAWP) და განსაკუთრებით, არჩევნებში მათ მიმართ ძალადობის ფენომენი (VAWE) იყოს. გენდერული ნიშნით ძალადობა პოლიტიკასა და არჩევნებში სულ უფრო თვალსაჩინოა და იღებს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა სექსუალური შევიწროება, დაშინება და ფიზიკური ძალადობა. ამავე დროს, სახელმწიფო, საზოგადოების ნაწილი და რიგი მედიასაშუალებები არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობას მიკერძოებულად და არასერიოზულად განიხილავენ. შედეგად, ზოგჯერ პოლიტიკაში ჩართულ, როგორც პარტიულ, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფ, ასევე, რიგით კოორდინატორ ქალებს, პოლიტიკური ცხოვრებიდან იძულებით უწევთ გასვლა. არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ბარიერად რჩება მათი პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის პროცესში. არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური ფენომენია, რომელიც ქალთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას წარმოადგენს.

[1] *იხ. სტატისტიკა: http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Influence%20and%20Power*

ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში ხელს უშლის ქალებს პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში, როგორც საჯარო, ასევე კერძო სივრცეში. მოძალადე აქტორების მთავარი ამოცანა ქალების პოლიტიკური კარიერის გაგრძელების სურვილის, ან მათი დამოუკიდებელი პოლიტიკური საქმიანობის აღკვეთაა. არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობისას, მოძალადეები ცდილობენ, ხაზი გაუსვან პოლიტიკაში მონაწილე ქალების ტრადიციული გენდერული როლებიდან გადახვევას: თითქოს ისინი არ არიან ოჯახზე მზრუნველი, კაცების ერთგული ქალები და ამიტომ ცდილობენ მათ დასჯას, რეალურად კი ქალების პოლიტიკიდან განდევნა სურთ. არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობამ შეიძლება, პოლიტიკაში ჩართულ ქალ კანდიდატებს გამარჯვებაში შეუშალოს ხელი, კოორდინატორ ქალებს - პარტიული საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო, ჩვეულებრივ მოქალაქე ქალებს კი - ხმის მიცემის პროცესში. როგორც უკვე აღინიშნა, არჩევნებისას ქალთა მიმართ ძალადობას შეიძლება, შევხვდეთ მათ ოჯახებში, თემსა და მუნიციპალიტეტში, ნებისმიერ, საჯარო თუ კერძო, სფეროში.

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ტიპები

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ტიპოლოგია იმეორებს ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისოდ შეთანხმებულ ტიპებს. ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანი[2].

ფსიქოლოგიური ძალადობა მიზნად ისახავს პოლიტიკაში მონაწილე ქალების დაშინებას, დევნასა და დამცირებას. ფსიქოლოგიური ძალადობა მრავალმხრივია. იგი მოიცავს ქალთა თითქმის ყველა ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ, მათ შორის კანდიდატების, პარტიის მხარდამჭერების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, კოორდინატორების, შევიწროებასა და მუქარას (UNDP 2018). ქალებს აშინებენ სოციალური გარიყულობით, განქორწინებით, პატიმარი შვილის დასჯით, უარყოფით, სამსახურის დაკარგვით, პირადი ცხოვრების გასაჯაროებით, ეს ყველაფერი კი ხელს უშლით მათ, მოიპოვონ და

[2] *UN Women. "Glossary of Terms from Programming Essentials and Monitoring and Evaluation Sections, Vir- tual Knowledge Center to End Violence Against Women and Girls. http://www.endvawnow.org/en/ articles/347-glossary-of-terms- from-programming-essentials-and-monitoring-and-evaluation- sections.html;*

შეინარჩუნონ პოლიტიკური თანამდებობა, თუნდაც ეს ეხებოდეს კოორდინატორობას. ხშირად, ფსიქოლოგიური ზეწოლა მათ უბრალოდ ხმის მიცემაშიც კი ბარიერს უქმნის; ისინი ვერ მიდიან ოჯახის ნების წინააღმდეგ და ვერ აძლევენ ხმას სასურველ კანდიდატს. ფსიქოლოგიური ზიანი ამცირებს და დემორალიზებულს ხდის მსხვერპლ ქალებს. მუქარა ხშირად წინ უსწრებს ფიზიკურ ძალადობას. როგორც ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება, მოხდეს სახლში, საზოგადოებაში და მათ შორის ონლაინ, ინტერნეტ სივრცეში (UNDP 2018). და ბოლოს, ფსიქოლოგიურ ძალადობაში ერთიანდება ეკონომიკური ძალადობა, რომლის გამოყენებითაც ქალებს ემუქრებიან სამსახურიდან გაშვებით და ხელფასის გარეშე დატოვებით.

ფიზიკური ძალადობა მოიცავს ქალის მიმართ ფიზიკური ძალის განზრახ გამოყენებას სიკვდილის, ტრავმის ან ფიზიკური ზიანის მიყენების მიზნით. იგი გამოიხატება ხელის კვრაში, ნივთის სროლაში, დახრჩობის მცდელობაში, შენჯღრევაში ან დარტყმაში, სხეულის უბნების ამოწვაში, გადაადგილების შეზღუდვასა და სხვა ნებისმიერი სახის ფიზიკური ძალის გამოყენებაში. ასევე, ის შეიძლება, მოიცავდეს გატაცებასა და ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვას, ცემას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის იძულებას, სიცოცხლის ხელყოფას. ფიზიკური ძალადობა ხდება ყველგან, მათ შორის სახლში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში, მაგრამ ის ყველაზე თვალსაჩინოა საჯარო სივრცეებში, მაგალითად, საარჩევნო კამპანიის მიტინგების, შეხვედრების, ტრეინინგების დროს და/ან მაშინ, როდესაც პოლიტიკური კანდიდატები იწყებენ კარდაკარ სიარულს. ის, ასევე, შეიძლება, მოხდეს ინსტიტუციურ გარემოში (პოლიტიკური პარტიების ოფისები, საარჩევნო უბნები და სხვა სამოქალაქო სივრცეები).

სექსუალური ძალადობა არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის მომდევნო ტიპია. იგი მოიცავს ნებისმიერ არანებაყოფლობით სექსუალურ აქტს, სექსუალური აქტის მცდელობას, არასასურველ სექსუალური შინაარსის კომენტარებს, მათ შორის - ფიზიკურ ძალადობას, შეურაცხყოფას, შევიწროებასა და გაუპატიურებას. სექსუალური ხასიათის მუქარა და ძალადობა შეიძლება, მოხდეს როგორც საჯარო, ისე - ქალის პირად გარემოში, როდესაც ქალი ქმრისგან ან ოჯახისგან განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს გამოხატავს, ან როდესაც საჯარო თანამდებობის დაკავებით, ტრადიციული გენდერული როლების დარღვევას ცდილობს. რადგანაც პატრიარქალურ საზოგადოებაში ჯერ ისევ არსებობს გენდერული უთანასწორობა და გენდერის ნიშნით ძალადობა, საარჩევნო პერიოდის დაძაბულობამ შეიძლება, უფრო გააღვივოს არსებული პრობლემები და გამოიწვიოს სექსუალური ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი დამოუკიდებელი ქალების მიმართ, რომლებიც განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს, ან პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილს გამოხატავენ.

ხშირია გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის გამოვლინებები მათი პარტნიორების მხრიდან სახლში, როგორც ქალის პოლიტიკური არჩევნის ან მონაწილეობის კონტროლის საშუალება. ეს შეიძლება, მოხდეს როგორც პარტნიორის, ასევე უცხო პირების (პოლიცია, პოლიტიკოსები და ა. შ.) მხრიდან, საჯარო სივრცეშიც (UNDP, UNWOMEN, 2018).

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის შესწავლის სირთულეები, მთავარი მოძალადე აქტორები და ძალადობის ინდიკატორები

მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არჩევნებისას ქალთა მიმართ ძალადობა დღემდე რჩება შესწავლისა და ზოგადად პოლიტიკური დღის წესრიგის მიღმა, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული ანგარიშები და მონაცემები მწირია. საკითხის შეუსწავლელობისა და ზოგადად, გენდერული ძალადობის გამომჟღავნების სტიგმის გამო, არაერთ საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში ისევ უხილავია. განსაკუთრებით უხილავია ისეთი ქალების მიმართ ჩაგვრა და ძალადობა, როგორებიც არიან კოორდინატორები. არჩევნებისას, ქალთა მიმართ ძალადობის შესწავლით დაინტერესებული ადამიანები რამდენიმე ძირითად დაბრკოლებას აწყდებიან, მათ შორისაა:

- რეალური ინდიკატორების ნაკლებობა, რომლის დახმარებითაც, გამოვლინდება პარტიული (კანდიდატი, კოორდინატორი) ქალების მიმართ ძალადობა არჩევნებში;
- მსგავსი ძალადობის გავრცელებისა და სიხშირის გასაანალიზებლად, არ არსებობს საბაზისო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები;
- განსაკუთრებით, თუ ისინი უბრალო კოორდინატორი ქალები არიან და არა - ქალი კანდიდატები;
- მედია აღნიშნულ საკითხებს გენდერულად მიკერძოებულად აშუქებს;
- ასეთი ტიპის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ნება არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში.

ასევე, საინტერესოა, ვინ არიან არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი აქტორები. ცხრილ #1[3]-ში მოცემულია აღნიშნული სუბიექტები:

[3] *UN Women and UNDP, Preventing Violence Againts Women in Elections: programme guide; 2018, p. 3;*

ცხრილი #1

პოლიტიკური აქტორები	საზოგადოებრივი აქტორები	სახელმწიფო აქტორები
პოლიტიკური პარტიების ლიდერები; **პარტიული და დამოუკიდებელი კანდიდატები;** **პარტიის წევრები;** **საარჩევნო კამპანიის წევრები**	**ამომრჩევლები;** **ოჯახის წევრები;** **პარტნიორები/ქმრები;** **თემისა და რელიგიური ლიდერები;** **მედია;** **დამსაქმებელი და კოლეგები;** **კრიმინალები/ე.წ. "ძველი ბიჭები";** **ახალგაზრდები**	**პოლიცია;** **სახელმწიფო ინსტიტუტები;** **საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები;** **სასამართლო**

რაც შეეხება მსოფლიოს მასშტაბით არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის გამოსავლენ ინდიკატორებს[4], ისინი იყოფა წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მიხედვით და შემდეგია:

[4] *UN Women and UNDP, Preventing Violence Againts Women in Elections: programme guide; 2018, p. 9;*

ცხრილი #2

წინასაარჩევნო პერიოდი	არჩევნების დღე	არჩევნების შემდგომი პერიოდი
▶ ფიზიკური ძალადობა და ჩაგვრა; კანდიდატი ▶ ქალების დარეგისტრირების პროცესში ხელის შეშლა; ▶ ქალი კანდიდატების, კოორდინატორების მკვლელობის მცდელობა; ▶ სიტყვიერი დაშინება, შევიწროება, ან ბულინგი; ▶ გაუპატიურება, ან სექსუალური ძალადობა; ▶ ცილისმწამებლური ჭორები; ▶ საარჩევნო ბრძოლიდან წასული ქალი კანდიდატი; ▶ თვითნებურად დაკავებული ქალი; ▶ გატაცებული ქალი; ▶ ონლაინ შევიწროება, სექსისტური პოსტები ქალებზე; ▶ მედიის სტატიები და რეპორტაჟები, რომელიც უარყოფითად ასახავს ქალებს; ▶ ქალი კანდიდატების ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფა ან ფიზიკური ანგარიშსწორება; ▶ ქალ პოლიტიკოსთა/კანდიდატთა კამპანიის/დამხმარე პერსონალზე ფიზიკური თავდასხმა.	▶ იძულებითი ხმის მიცემა (ოჯახის, პარტიის მხრიდან); ▶ ხმის მიცემის პროცესში რელიგიური/ადგილობრივი ავტორიტეტების მხრიდან ქალზე ზეწოლა; ▶ არჩევნების დღეს ქალის მიმართ მიყენებული შეურაცხყოფა; ▶ ქალის დაშინება, ან მუქარა	▶ ქალი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი; ▶ ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება; ▶ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა; ▶ მედიის სტატიები და რეპორტაჟები, რომელიც უარყოფითად ასახავს ლიდერ ქალებს; ▶ ონლაინ შევიწროება და ბულინგი არჩეული ქალი კანდიდატების მიმართ; ▶ არჩეულ კანდიდატ ქალზე ზეწოლა (დაქვემდებარებული თანამდებობა)

კვლევის ანგარიშში წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომი პერიოდისას არსებული ძალადობრივი შემთხვევები მოცემულია ძალადობის ფორმების და არა არჩევნების ეტაპების მიხედვით, თუმცა, ის მოგვიანებით, კვლევის შედეგების თავში იქნება განხილული.

ქართული რეალობა

კვლევის მიზნის, ამოცანისა და მეთოდოლოგიის მიმოხილვამდე, კვლევაში მოკლედ გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ქალი კოორდინატორების შესახებ კვლევამდე არსებული ინფორმაცია. საქართველოში, ხშირად, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის სიღარიბის, ზეწოლისა თუ დაშინების გამო, ქალები იძულებულნი არიან, პარტიული კოორდინატორის საქმიანობას დათანხმდნენ. ზოგჯერ, ისინი ისეთ არალეგალურ აქტივობებს თანხმდებიან, როგორიცაა: ფულის დარიგება ხმის მიცემის სანაცვლოდ, ამომრჩევლის დაშინება/მუქარა და ა. შ.[5] რიგ შემთხვევებში, მათ არც კი იციან, რომ უკანონო საქმიანობაში არიან ჩართულნი. ქალების მსგავს საქმიანობებში ჩართვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან წარმოადგენს გენდერული ნიშნით ძალადობისა და ქალთა ექსპლუატაციის[6], ადამიანის უფლებების დარღვევის სპეციფიკურ ფორმას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ზოგადად, პარტიული კულტურა გაჯერებულია გენდერული სტერეოტიპებით[7]. პოლიტიკურ პარტიებში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და მათი ჩართულობა, დიდწილად, იერარქიულად ყველაზე დაბალ დონეზე მათ მონაწილეობაზეც აისახება. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, საქართველოში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას უამრავი ბარიერი, მათ შორის ძალადობრივი ბარიერებიც, ახლავს თან, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა (საფარი, 2017). მაგალითად, გამოიყენება სექსისტური სიძულვილის ენა (ურჩუხიშვილი, 2020), ქალების მხოლოდ კოორდინატორის პოზიციაზე დანიშვნა და ამის ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობად გასაღება (დოლიძე, 2017) და ა. შ. ასევე, უამრავი დარღვევა ფიქსირდება წინასაარჩევნო პერიოდში ქალების წინააღმდეგ (სამსახურის დაკარგვის მუქარით დაშინება,

---

[5] *https://ge.usembassy.gov/ka/https-ge-usembassy-gov-u-s-embassy-statement-following-the-second-round-of-georgian- municipal-elections/;*

[6] *აჩევნების ეროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, UN WOMEN, UNDP, 2017, იხილეთ: https://www.undp.org/publications/preventing-violence-against-women-elections-programming-guide.*

[7] *სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) 164 მუხლი.*

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პირების ოჯახის წევრი და საჯარო მოხელე ქალების, სკოლისა და ბაღის დირექტორების გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში (ISFED, 2021).

რაც შეეხება პარტიულ კოორდინატორებს, ისინი ძირითადად არიან ეკონომიკურად ხელმოკლედ მცხოვრები ქალები, რომლებიც, შესაძლოა, არ იზიარებდნენ იმ პარტიის ღირებულებებსა და ხედვას, რომლებისთვისაც მუშაობენ. საქართველოს სოფლებში სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის გამო (სტატისტიკის დეპარტამენტი, 2020) ბევრი ქალი იძულებულია, დათანხმდეს ამ ტიპის პოლიტიკურ ჩართულობას მწირი ანაზღაურების სანაცვლოდ, ზოგიერთი კი ამას თანხმდება სამუშაოს დაკარგვის შიშით, რაც იძულებითი შრომაა. თუმცა, მათი ნაწილი შესაძლოა, მართლა იყოს იმ პარტიის რეალური მხარდამჭერი, რომლის სასარგებლოდაც მუშაობს.

სამუშაოს ძირითადი ტიპები, რომელსაც პარტიის კოორდინატორებს სთხოვენ, შემდეგია: კარდაკარ სიარული, აგიტაცია, პოლიტიკური დაპირებების გახმოვანება და ამომრჩევლების შესახებ ელექტორალური ინფორმაციის შეგროვება, რაც ზოგჯერ პერსონალურ მონაცემებსაც მოიცავს და არ არის კანონიერი[8]. გარდა ამისა, მათ ასევე სთხოვენ ამომრჩეველთა მობილიზებას ხმის მისაცემად, საპროტესტო აქციების მოწყობას და ა. შ., რა დროსაც ქალები ხშირად აწყდებიან სიტყვიერ შეურაცხყოფას, ზოგჯერ კი - ფიზიკურ ძალადობასაც (ISFED, 2021).

ამას გარდა, პარტიების კოორდინატორების ანაზღაურება ხშირად ნაღდი ანგარიშსწორებით, შრომითი ხელშეკრულებების გარეშე ხდება, რაც არა მხოლოდ ამახინჯებს რეალურ სურათს პოლიტიკური პარტიის კოორდინატორების რაოდენობისა და ფინანსური ხარჯების შესახებ, არამედ გადააქვს სამუშაო ურთიერთობა არაფორმალურ გარემოში და ქალებს ართმევს უფლებას, კანონიერად დაიცვან თავი პოტენციური შრომითი ექსპლუატაციისგან. ეს ფაქტი ქალ კოორდინატორებს უფრო მოწყვლადს ხდის და კიდევ უფრო ამძიმებს მათ უფლებრივ მდგომარეობას.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ტიპის პოლიტიკურ საქმიანობაში ქალების ჩართვა ხშირად პოლიტიკური პარტიების მხრიდან წარმოდგენილია, როგორც პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ზრდა. რეალურად კი ხდება მათი ინსტრუმენტალიზაცია - ამ ქალებს არ გააჩნიათ პარტიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღების უფლება. საჭიროა პარტიული ქალი კოორდინატორების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და ფაქტორების სიღრმისეული ანალიზი, იმისათვის, რომ გამოვლინდეს მათ წინაშე არსებული პრობლემები და შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა/კანონმდებლობა, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს დარეგულირებასა და მომავალში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას არჩევნების მსვლელობის პროცესში.

---

[8] *სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) 164 მუხლი.*

კვლევის მიზანი, ამოცანა, მეთოდოლოგია, მეთოდი და მონაცემთა ანალიზი

ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეუსწავლელია; იგივე მდგომარეობაა საქართველოშიც. მართალია, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე ტარდება კვლევები და იწერება სტატიები, თუმცა, კონკრეტულად ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში დღემდე გამოუკვლევი რჩება. განსაკუთრებით, ეს ეხებათ პარტიების ქალ კოორდინატორებს. დღემდე მათი ხმა არც ერთ კვლევაში არ ისმის. არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა კოორდინატორების რაოდენობის შესახებ. შესაბამისად, არ არსებობს მათი გენდერული დისბალანსისა და ბალანსის ზუსტი მონაცემები. თუმცა, როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების დღის დაკვირვების მიხედვით, კოორდინატორთა უდიდესი ნაწილი ქალია. მაგალითად, ISFED-ის 2021 წლის მონაცემებით, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებს გარეთ მყოფ პარტიულ პირთა 61% ქალი იყო. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც გადაწყდა ჩვენი სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, რათა შეგროვდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოავლენს არჩევნებში ქართული პოლიტიკური პარტიების ქალი კოორდინატორების მიმართ არსებული ძალადობის პრაქტიკებს.

კვლევის **მიზანია** საქართველოში საარჩევნო პროცესისას ქალი კოორდინატორების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ხელშეწყობა.

ხოლო, **ამოცანას**, ქალთა მიმართ არჩევნებამდე, არჩევნებისას და არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალადობის ფორმების, ტიპებისა და ზოგადი გამოწვევების დადგენა/შესწავლა წარმოადგენს.

კვლევის დროს ინფორმაცია შეგროვდა სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგიის, კერძოდ, ფოკუს-ჯგუფისა და არაფორმალური ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი და სადისკუსიო გეგმა. იგი მოიცავს არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის დასადგენად არსებულ ინდიკატორებზე დაფუძნებულ შეკითხვებს, რომლებიც ზემოთ არის მოცემული[9]. მაგალითად, განუცდიათ თუ არა კოორდინატორებს საკუთარ თავზე ფიზიკური ძალადობის, ჩაგვრის ან სიტყვიერი დაშინების, შევიწროებისა და ბულინგის ინციდენტები არჩევნებამდე, არჩევნებისას და არჩევნების შემდეგ. კვლევის ინსტრუმენტების დასახვეწად, დამატებით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი ISFED-ის რეგიონულ წარმომადგენლებთან, რომლებმაც კვლევის ავტორს გაუზიარეს გამოცდილება და რეკომენდაციები მისცეს სავარაუდო შეკითხვებთან დაკავშირებით.

[9] *იხილეთ ცხრილი #2.*

არაფორმალური ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა ონლაინ, პლატფორმა Zoom-ით, 2022 წლის სექტემბერში და წარიმართა დიალოგური მოდელით (Chirban, 1996, 62), ინტერვიუერსა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის კოორდინატორ ქალებს შორის, ხოლო ფოკუს-ჯგუფები - ჯგუფური მოდერაციის ხერხის გამოყენებით, მოდერატორსა და კოორდინატორ ქალებს შორის.

ფოკუს-ჯგუფებისა და ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილეების შერჩევისთვის გამოყენებულია ორგანიზაციული რეკრუტმენტის ხერხი (krueger, 2006). ორგანიზაცია ISFED-ის რეგიონულმა კოორდინატორებმა მოიძიეს და მოიწვიეს რესპონდენტები, როგორც ფოკუს-ჯგუფების, ასევე - არაფორმალური ინტერვიუებისათვის. ჯამში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 31-მა კოორდინატორმა ქალმა (სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიებიდან). საველე სამუშაოების შემდეგ, შეიქმნა არაფორმალური ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ტრანსკრიპტები. შეგროვებული თვისებრივი ინფორმაცია გაანალიზდა არაფორმალური ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფების თვისებრივი ანალიზის მეთოდების, კერძოდ, ტრანსკრიპტზე დაფუძნებული (Krueger 1994, 143) ანალიზის მეთოდის გამოყენებით. მონაცემების კოდირებისა და კატეგორიზების შემდეგ, რესპონდენტების თხრობის მიხედვით, შეიქმნა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ძალადობის კატეგორიები.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა ქალი კოორდინატორების მხრიდან პოტენციური ნდობისა და ღიაობის ნაკლებობა, გამოევლინათ ზეწოლის, ძალადობის ან ექსპლუატაციის ის ინციდენტები, რომელიც განიცადეს მათ კოორდინატორებად მუშაობისას. საველე სამუშაოებისას, აღმოჩნდა, რომ არჩევნებისას, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ღიად საუბრობდნენ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, მაშინ, როდესაც სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელ რესპონდენტ ქალებს აღნიშნულ საკითხებზე ღიად საუბარი უჭირდათ. ასევე, რესპონდენტები ხშირად ძალადობის ფაქტებზე საუბრობდნენ მესამე პირში, თითქოს მათ მსგავსი ფაქტები პირადად არასოდეს გადახდენიათ.

თვისებრივი კვლევის შედეგები

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა კოორდინატორ ქალთა მიმართ არჩევნებამდე, არჩევნებისას და არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალადობის ფორმებისა და ზოგადი გამოწვევების დადგენა/შესწავლა. თვისებრივი მონაცემების ანალიზი ძალადობის ფორმების ლოგიკის მიხედვით არის დალაგებული. მოცემულია ძალადობის ის ტიპები, გამოწვევები და საფრთხეები, რომელსაც კოორდინატორი ქალები ზოგადად არჩევნებამდე, არჩევნებისას და არჩევნების შემდგომ პერიოდში ხვდებიან და გამოცდიან საქართველოში. ქვემოთ მოცემულია თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლენილი შესაძლო ძალადობის თეორიული კატეგორიები.

საფრთხე მოსახლეობისგან

კვლევის რესპონდენტი კოორდინატორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საფრთხის წინაშე დგანან კარდაკარ აგიტაციისას. ისინი ამბობენ, რომ დაუცველები არიან მოსახლეობის აგრესიისგან. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პარტიის წარმომადგენლები არიან და რა განწყობებია ამ პარტიების მიმართ საზოგადოებაში.

> „მე ისეთ სიტყვებს ვერ გავიმეორებ თქვენთან, ისინი რომ სიტყვებს კადრულობენ, ამ ათი წლის განმავლობაში ისეთი დღეები გაგვივლია, არანაირი დაცულობა არ გვიგრძვნია ჩვენ, ყოველთვის ვიყავით ჩვენი თავის მცველები“ (კოორდინატორი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ ზოგადად, კოორდინატორი ქალების მიმართ საზოგადოებას არ აქვს დადებითი დამოკიდებულება. ერთ-ერთი კოორდინატორი რესპონდენტის თქმით, ამომრჩეველი მათ „ადამიანადაც არ თვლის“. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პარტიები ძირითადად ქალ კოორდინატორებს ასაქმებენ. ფაქტობრივად, ისინი ქალებს იმეტებენ ამ შავი სამუშაოს შესასრულებლად და იმ აგრესიის საკუთარ თავზე მისაღებად, რომელიც ამა თუ იმ პარტიის მიმართ კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში არსებობს.

სხვა კვლევები (საფარი 2017) უჩვენებს, რომ პარტიული კაცები ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნიან. ისინი ამბობენ, რომ კოორდინატორებად ქალებს იმიტომ ასაქმებენ, რომ კაცების აგიტაციაზე გაშვების შემთხვევაში, ეს უკანასკნელნი ვერ მოითმენენ მოსახლეობის ცუდ დამოკიდებულებას და შესაძლოა, შევიდნენ კონფლიქტში. ანუ, კაცების „თავმოყვარეობის“, „კაცურობის დაცვის და აგრესიულობის“ გამო, პარტიების უმრავლესობა ქალებს უშვებს აგიტაციაზე. ქალი კოორდინატორები ამბობენ, რომ ეს პროცესი მათთვის ძალიან უხერხული და უსიამოვნოა:

> „იცით რა, უხერხული მომენტია, როცა ოჯახს უკაკუნებ კარზე, არ გიღებს და იცი, რომ სახლშია. მეორე მომენტია, რომ იცი, იმ ადამიანმა უნდა გამოგლანძღოს რატომღაც და ვთქვათ, ორი წელია, ამ უბანზე ხარ კოორდინატორი... ხომ ხვდებით... რაღაც ისეთი სიტყვა უნდა თქვას, უწმაწური, და არ გსიამოვნებს, აი ეს არის“ (კოორდინატორი ქალი, სახელისუფლებო პარტია).

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი კოორდინატორი ამბობს, არჩევნებამდე ხშირია კოორდინატორ ქალებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობა. მისი თქმით, როდესაც ის ქუჩაში აგიტაციას ეწეოდა, რაიონის გამგებელმა მასზე საცემად გაიწია. დამატებით, ეს გამგებელი ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას მასზე. ასევე, აღნიშნული რესპონდენტი ყვება, რომ მას მერე, რაც მან გამოააშკარავა ამომრჩევლების მოსყიდვის ფაქტი, რომელშიც პოლიციელი იყო ჩართული, აღნიშნული პოლიციელი იარაღით დაემუქრა მას. ამავე დროს აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ინციდენტი ოქმებში ჩაიწერა, არანაირი სამართალწარმოება არ მოჰყოლია საქმეს და არავინ დაკითხულა საქმის გამოძიების მიზნით. ამას იმით ხსნის, რომ ის მოქმედი პოლიციელი იყო, თავად კი - არავინ, უბრალო კოორდინატორი ოპოზიციური პარტიიდან.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში კოორდინატორ ქალებზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილობრივი მერიის თანამშრომლებიც აქტიურად ახდენენ ხოლმე. მისი თქმით, მას მერე, რაც მან გამოააშკარავა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი, როდესაც მერიის წარმომადგენლები საარჩევნო შტაბში შევიდნენ ფულის დასარიგებლად და ხალხის მოსასყიდად, მერიის მაღალჩინოსანმა მასზე საცემად გაიწია და ხალხმა მოახერხა მისი შეჩერება.

ერთ-ერთი რესპონდენტი გვიამბობს, რომ არჩევნებამდე მას საკრებულოს წევრმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა:

„ესე იგი, საკრებულოს დეპუტატმაც მომაყენა შეურაცხყოფა, აი, ჩაწერილიც არის და ვიდეოშიც ჩანს, უბრალოდ იქ არ ჩანს, რომ მე მაყენებს და ჩემ მიმართ არის, აი, რომ ილანძღება, ჩემ მიმართ არის ეს ლანძღვა, უბრალოდ არ ვჩანვარ იმ კადრში“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კოორდინატორები თანხმდებიან, რომ ხშირია მათ მიმართ დაშინება და მუქარა წინასაარჩევნო პერიოდში. ამის მაგალითია სააგიტაციო პროცესში მათი სამოძრაო მანქანებისთვის საფრთხის შექმნა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც კი გაიხსენა, როგორ დაუჭრა უცნობმა ადამიანმა მას მანქანის საბურავები. ასევე, იგივე რესპონდენტი იხსენებს, რომ ხშირია უცხო ადამიანების მხრიდან ცივი იარაღით დამუქრება და დაშინება, რათა აგიტაცია შეაწყვეტინონ.

„ქალებს, ჩემს კოორდინატორებს არ უშვებდნენ, დანით ემუქრებოდნენ. და აი აქამდე მოვედით ასეთი დაშინებით“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ შესაძლოა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ქალი კოორდინატორები ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში არჩევნების შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით დააშინონ. ერთ-ერთი ოპოზიციონერი კოორდინატორის თქმით, არჩევნების მოგების შემდეგ, ოპოზიციური პარტიის ოფისთან იყო სროლა და მათი დაშინების მცდელობა.

„გარეთ ისროლეს, ჩვენი ოფისის წინ, სროლა არავის მიმართ არ ყოფილა, უბრალოდ ისროლეს, რომ შევეშინებინეთ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთი რესპონდენტი კოორდინატორი ქალი ამბობს, რომ 2018 წელს კახეთის ერთ-ერთ სოფელში, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საარჩევნო უბანზე შუქი ჩააქრეს, რომ ბიულეტენები გაეყალბებინათ. ამას ოპოზიციური პარტიის კოორდინატორი ქალი შეეწინააღმდეგა, რის გამოც მასზე და მის დედაზე ფიზიკურად იძალადეს - ადგილობრივი სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი კაცი ფიზიკურად გაუსწორდა ორივეს. როგორც რესპონდენტი ამბობს:

„კოორდინატორის დედას წიხლიც კი ამოარტყა და დააგდო“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი კოორდინატორი ქალის თქმით, საჯარო მოხელეები არჩევნებისას განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ. აგრესიას ისინი ძირითადად სიტყვიერად გამოთქვამენ - სიტყვიერი შეურაცხყოფა გავრცელებული პრაქტიკაა.

„შემიძლია ვთქვა, რომ განსაკუთრებული აგრესიულობით საჯარო მოხელეები გამოირჩევიან ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ აქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კოორდინატორი ქალების დაშინებასა და შევიწროებაზე, ხშირ შემთხვევაში, საჯარო სამსახურებში დასაქმებული ადამიანები არიან. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი რესპონდენტების თქმით, სახელისუფლებო პარტია კარგად იყენებს დასუფთავების სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს, როგორც „მაკონტროლებელს“, და მაგალითად, ზუგდიდში ერთ-ერთი დასუფთავების თანამშრომელი დაკავებულიც კი იყო, კოორდინატორზე ძალადობის გამო[10].

ასევე, რესპონდენტების თქმით, სახელისუფლებო პარტიები მნიშვნელოვან მოძალადე აქტორებად იყენებენ არა მარტო საჯარო მოხელეებს, არამედ - მათ ოჯახის წევრებსაც.

„აი, ზუგდიდში ზოგადად ასე ხდება: აი, ოჯახის წევრი თუ არის ერთ-ერთი საჯარო მოხელე, ყველა ერთადაა ოჯახის წევრები ჩართული ამაში. დები, ძმები, მამები, დედები, ბიძაშვილები, აი, ყველა ერთად არის, კამპანიასაც ატარებენ, საერთოდ ხომ არ ეხებათ. დავუშვათ, ვიღაც მერიაში მუშაობს, და, ან ძმა და მთელი ოჯახის წევრებს შეუძლიათ, რომ კამპანია ჩაატარონ და დაპირდნენ საარჩევნოდ რაღაცეები, აი, ქუჩაში დადიან“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ასევე, ქალთა მიმართ არჩევნებისას ძალადობის პროცესში ჩართულები არიან სკოლის დირექტორები და ბაღის მენეჯერები. რესპონდენტების თქმით, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხშირად სკოლის დირექტორი/მასწავლებელი ან ბაღის მენეჯერი/აღმზრდელია და ისინი ყველანაირად ცდილობენ, შეავიწროვონ (დააშინონ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენონ, შეარცხვინონ) ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი კოორდინატორები და დამკვირვებლები.

[10] *აღნიშნული ინფორმაცია არის რესპონდენტის მოსაზრება და შეიძლება, არ შეესაბამებოდეს რეალობას.*

როგორც რესპონდენტები ოპოზიციური პარტიებიდან თანხმდებიან, არჩევნების დღეს ფსიქოლოგიური ზეწოლა და სიტყვიერი შეურაცხყოფა გავრცელებულია როგორც საარჩევნო უბანზე, ასევე უბნის გარეთ. ერთ-ერთის თქმით, უბნის გარე პერიმეტრზე ხშირად გამოუცდია მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა ე. წ. უბნელი „კაი ბიჭებისგან“. სხვა რესპონდენტს კომისიის წევრებისგან გამოუცდია სიტყვიერი შეურაცხყოფა საარჩევნო უბანზე.

ერთ-ერთი რესპონდენტის გვიამბობს, რომ არჩევნების დღეს უბნის გარეთ ხშირია ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ქალების მიმართ ე. წ. უბნელი „კაი ბიჭების“ მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაშინება, სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ. სხვა რესპონდენტიც აღნიშნავს, რომ დაშინება და მუქარა ხშირად გამოუცდია.

> „კი იყო, დაშინებებიც იყო, რომ ამას თუ გააკეთებთ, ქუჩაში ვეღარ გაივლი და იცოდე, რომ ვთქვათ, შვილს ზრდი და ა. შ. - რაღაც ისეთი ფორმით, რომელი ფორმაც ნაკლებად მოსათმენია, მაგრამ როცა არჩევნებში მონაწილეობ და ხარ უკვე ჩართული აესეთ რაღაცებში, ყოველ შემთხვევაში მე, ყურადღებას არასდროს არ ვაქცევდი“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

მომდევნო რესპონდენტი კი ამბობს, რომ საარჩევნო უბანზე ე. წ. ხელჩართული ბრძოლა გამოუცდია, რის გამოც პატრულის გამოძახება მოუწია. მართალია, მას ფიზიკურად არავინ შეხებია, მაგრამ სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოსცადა ე. წ. უბნის „კაი ბიჭებისაგან“.

> „აი, მეოცე უბანში მიწევდა ხოლმე, 2021-შიც იყო ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც მეც ვიდექი ამ ხალხთან. როგორ არა, პატრულიც გამომიძახებია. აი, 2016 წელს იყო სიტყვიერი, ხელჩართული და ის არ იყო, მაგრამ, აი, სიტყვიერი ლანძღვა იყო ჩემ მიმართ და... აი, უბნის ბიჭები, „კაი ბიჭები“ ბრჭყალებში“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ არჩევნებისას ქალთა მიმართ ძალადობაში რამდენიმე ტიპის აქტორია ჩართული. როგორც რესპონდენტები ამბობენ, ხშირად ასეთი აქტორები უცნობი ადამიანები არიან, „ვერ გაიგებ, ვინ არიან და სად მუშაობენ“, თუმცა, შეიძლება კოორდინატორთან მივიდეს და უთხრას მუქარის შემცველი წინადადება: „არ გინდა შემდეგში იცხოვრო სოფელში? რაიონში?“.

ასევე, კვლევამ გამოავლინა, რომ მთავარი აქტორი, რომელიც ქალი კოორდინატორების დაშინებასა და ძალადობაშია ჩართული, არის ე. წ. უბნის „კაი ბიჭი“. რესპონდენტების თქმით, მმართველმა პარტიამ მათ განუსაზღვრელი თავისუფლება მიანიჭა.

„ფიზიკურად არავისზე ძალადობენ, მაგრამ უფრო „ტოლბიჭობენ“, აშინებენ თანატოლებს, მოსახლეობას და მათ შორის კოორდინატორებს. ამ უკანასკნელებზე სიტყვიერად ძალადობენ. ავიწროებენ და აშინებენ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ესენი არიან:

„ქუჩის ე. წ. „ძველი ბიჭები“, ქუჩაში რომ დგანან მთელი დღე და არაფერს წარმოადგენენ. ეს ადამიანები, ვითომ „ძველი ბიჭები“, არც ვიცი, რა დავარქვა ამ ადამიანებს“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ მხოლოდ უცნობი ადამიანები და ე. წ. „კაი ბიჭები“ არ ძალადობენ კოორდინატორებზე. მომდევნო ტიპის აქტორები არიან პოლიციელები და სუსის თანამშრომლები. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად პოლიცია ერევა მათ წინააღმდეგ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. ასევე, შეიძლება, მათთან მივიდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი და მოსთხოვოს საქმიანობის შეწყვეტა.

დაშანტაჟება ადგილობრივი რელიგიური ლიდერების მხრიდან

როგორც ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი კოორდინატორი ქალი გვიამბობს, ადგილობრივი რელიგიური ლიდერები ზოგჯერ ქალი კოორდინატორების პირადი ცხოვრებითა და განდობილი აღსარებების შინაარსით მანიპულირებენ. მისი თქმით, ერთ-ერთი სასულიერო პირი ოპოზიციური პარტიის წევრ კოორდინატორ ქალს აშანტაჟებდა, რომ თუ ის კონკრეტული ოპოზიციური პარტიის მხარდასაჭერად აგიტაციას გააგრძელებდა, გამოუაშკარავებდა აღსარებას.

„მამაოები არიან ჩართული ამ სისტემაში, ეს არის ცუდი და ეს არის ქალებზე, თუ რამე აღსარებები აქვთ ჩაბარებული... მე წავაწყდი ჩემს სოფელში (შვიდი სოფელი მებარა), რომ აშინებდა, შენ რომ აღსარება გაქვს ჩემთვის ჩაბარებული, იმას გამოვააშკარავებო. ამით აშინებდა ჩემს კოორდინატორებს, რომ იქ არ შეხვიდე და არ გაბედო, იმიტომ, რომ შენი ყველაფერი ვიცი და გამოვააშკარავებო“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

გარდა იმისა, რომ რელიგიური ლიდერები აღსარების შინაარსის გათქმით ემუქრებიან ოპოზიციონერ ქალ კოორდინატორებს, ისინი ქადაგების დროს საკუთარ ძალაუფლებას იყენებენ, რომ მრევლმა მხარი დაუჭიროს რომელიმე კონკრეტულ პარტიას და ცდილობენ, დაარცხვინონ ის ადამიანები, რომლებიც მათ პოლიტიკურ პოზიციას არ ეთანხმებიან. ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ქალმა კოორდინატორმა რესპონდენტმა თქვა, რომ მამაომ მას „ეშმაკიც“ კი უწოდა:

> „ეშმაკი ხარო, მითხრა მამაომ, იმიტომ, რომ ეშმაკს ემსახურებიო. მიშა სააკაშვილს ვინც გვერდში უდგას... შენ ეშმაკს ემსახურებიო და იცით კიდევ რა მითხრა? მეო, პარაკლისს გადავიხდიო, რომ შენ ამ ცოდვისგან გაგათავისუფლოო...“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

სოციალური დახმარების მოხსნით და საცხოვრებელი სახლის დაკარგვით დაშინება

როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი რესპონდენტები თანხმდებიან, ხშირია მათი დაშინება სოციალური დახმარების მოხსნის მუქარით. მათი თქმით, ბევრ კოორდინატორ ქალს უთქვამს, რომ დაემუქრნენ სოციალური დახმარების მოხსნით, თუ გააგრძელებდა აგიტაციას ოპოზიციური პარტიის მხარდასაჭერად.

კვლევამ გამოავლინა, რომ შესაძლოა, ხორციელდება ზეწოლა კოორდინატორების ოჯახებზე: თუ ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი ეყოლება კოორდინატორს ოჯახში, მათ სოციალურ დახმარებას მოუხსნიან. ერთ-ერთი კოორდინატორის თქმით, ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან კოორდინატორობა კონკრეტული სამსახურია. ზოგჯერ პარტიული კუთვნილება არაფერ შუაშია და ისინი ამ საქმეს გაჭირვებისა და ფინანსური სარგებლისთვის თანხმდებიან.

> „ჩემი დაკვირვებით, კონკრეტული პარტიის მიმართ კეთილგანწყობა და კუთვნილება ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის. კოორდინატორი ქალები ხშირად გაჭირვების გამო თანხმდებიან რა, მსგავს საქმიანობას“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

სხვა რესპონდენტი იმასაც ამბობს, რომ თავად ოჯახი ახდენდა მასზე ზეწოლას, არ გაეგრძელებინა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობა, რათა მათ სოციალური დახმარება შეენარჩუნებინათ. წინასაარჩევნოდ ოჯახის ბერკეტად გამოყენება გავრცელებულია ქალი კოორდინატორების მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად.

> „ხდებოდა ოჯახზე ზეწოლა, იმიტომ, რომ ოპოზიციური პარტიის გვერდით ყოფნა რაღაცნაირად შიშს იწვევს მათში, თითქოს თუ ვიღაცას სოციალური დახმარება აქვს, მოუხსნიან, თუ ვიღაცას რაღაცა სახის დახმარება აქვს, მაგას აღარ მისცემენ და ხელისუფლების ჯიბრში ყოფნას არ ურჩევენ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

სოციალური დახმარების მოხსნის გარდა, კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს ზოგადად ოჯახის თემით მანიპულაციის სხვა შემთხვევები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი კოორდინატორი ქალი, რომელსაც მანამდე ხელისუფლებამ შეუძინა სახლი და შეასახლა მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, დააშინეს ყველაფრის დაკარგვით, თუ ის დათანხმდებოდა ოპოზიციური პარტიის კოორდინატორობას. ამის გამო, ახალგაზრდა ქალს სამუშაოზე უარის თქმამ მოუწია.

> „ახალგაზრდა ქალი უნდა მოსულიყო კოორდინატორად, პატარა შვილები ჰყავს გოგოს. არ მოვიდა. მე ამით დავინტერესდი, რატომ არ მოვიდა ის გოგო და მითხრა, რომ ღამე მოვიდა ჩემთან მერიის წარმომადგენელი, ჩემი სოფლელი ქალი. იცით, როგორ არის? ძალიან გაჭირვებულები არიან და სახელმწიფომ უყიდა სახლი და შეასახლა. ამ ქალმა უთხრა, სახლიდან გამოგაძევებ და მაგ ორ შვილს აგიწიოკებო... ვერ მოვედი, მაპატიეო, მითხრა. ის ახლა იმდენად გაჭირვებულია, ვერც შეიმალა, მუხლის ჩოქით დაუდგა, ჩემი შვილებიო... ჩემთანაც საერთოდ არ ჰქონდა დიდი პოზიცია, უბრალოდ მჭირდებოდა იქ და მითხრა, რომ ვიმუშავებო 50 ლარადო და იმიტომ...“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კოორდინატორის, ან მისი ოჯახის დასაქმებული წევრის/ახლო ნათესავის სამსახურიდან გათავისუფლებით მუქარა

კვლევამ გამოავლინა, რომ არჩევნებამდე კოორდინატორ ქალებს ხშირად აშინებენ ოჯახის დასაქმებული წევრების, ან მისი სამსახურიდან გათავისუფლებით. მათი თქმით, ხშირია მუქარა, რომ თუ არ „გაეშვებიან ოპოზიციური პარტიის კოორდინატორობას“, მათი შვილი ან ქმარი დაკარგავს სამსახურს. ასევე, ხშირია მოსწავლე შვილებით დაშანტაჟება, რომ მათ შვილებს სკოლაში არ ექნებათ კარგი ნიშნები. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, როგორ აშანტაჟებდნენ მის პოლიციელ დას სამსახურიდან გაშვებით, თუ იგი გააგრძელებდა აგიტაციას ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ.

> „აი, მე პირადად ჩემს მაგალითს გეტყვით: ჩემი და არის დასაქმებული, პოლიციის თანამშრომელი არის და წინა წლებში იყო შემთხვევა, რომ უკრძალავდნენ, რომ მე მიმეღო მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში, ჩავრთულიყავი და ვყოფილიყავი მონაწილე - ამას უშლიდნენ. არის ეგეთი, ოჯახის წევრებიდან თუ ვინმე არის დასაქმებული, ცდილობენ, რომ შეაჩერონ და არ მიიღონ მონაწილეობა“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, როგორ ემუქრებოდნენ მის ნათესავ სამხედრო პირს, რომ სამსახურიდან გაუშვებდნენ, თუ ის გააგრძელებდა კოორდინატორად მუშაობას.

> „ჯარისკაცი მყავს მულის შვილი, ქუთაისში მსახურობს. დამიბარა უფროსმაო, ხოდა მეუბნება, სურათს მიჩვენებს, და ამას იცნობო? - როგორ არაო, ეს ბიცოლაჩემიაო. რას ამბობო? რაღაც ტანზე გამიჟრუალაო... (წყდება) რა მეფიქრა იმ მომენტში... ბიცოლაშენს თუ არ გააჩერებ, მაშინ პატაკი აგერ დადევი, ფურცელი გიდევსო მაგიდაზე...“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ ოჯახის დასაქმებული წევრებით მანიპულაციაში ჩართულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ისინი ისე იქცევიან, რომ თავად ოჯახის წევრებმა უთხრან კოორდინატორებს, დაანებონ მსგავს საქმიანობას თავი, რათა მათ არ შეექმნათ საფრთხე. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, როგორ დააშინეს ის მის არასრულწლოვან შვილზე მუქარით:

„შენ ნუ ხარ მაგ პარტიაშიო, თორემ იცოდეო, შენ გყავს 17 წლის შვილიო, - ეს ფრაზა მითხრეს“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ შესაძლოა, ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად კოორდინატორ ქალს აიძულებენ, სამსახურის დაკარგვის შიშით თავი დაანებოს ოპოზიციური პარტიის კოორდინატორობას. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„ბაღში მუშაობდა ერთი გოგო და იყო ეგ მომენტი, რომ ეს ბაღი თვითონ ჩვენი ახლანდელი მთავრობის მიერ არის აშენებული. ახალ ბაღზე ვიძახი, გლდანის მერვე მიკროშია, - იქ მუშაობდა ერთ-ერთი ჩვენი კოორდინატორი და უთხრეს, თუ კოორდინატორად გააგრძელებ მუშაობას, დაკარგავ სამსახურსო“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ საჯარო სამსახურის დაკარგვით, კოორდინატორი ქალების დაშინების ხერხს ყველა სახელისუფლებო პარტია მიმართავდა, მოქალაქეთა კავშირით დაწყებული, ქართული ოცნებით დამთავრებული. განსაკუთრებით, სამთავრობო მხრიდან გავრცელებულია ბაღისა და სკოლის მასწავლებლების გამოყენება კოორდინატორებად, ან პირიქით, სამსახურის დაკარგვის მუქარით მათი განეიტრალება.

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, მსგავსი პრობლემა განსაკუთრებით რაიონებსა და სოფლებში დგას, რადგან ადგილობრივად ისედაც მწირია დასაქმების სფეროები, სკოლები და ბაღები კი დასაქმების ერთადერთი საშუალებაა.

ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად და სახელმწიფო უწყების პარტიული მიზნით გამოყენება

კვლევამ, გარდა სოციალური დახმარების მოხსნით, ან სამსახურის დაკარგვით დაშინების მოვლენისა, გამოამჟღავნა საინტერესო მიგნება - დაშინების ნაცვლად მმართველი პარტიები მიმართავენ ე. წ. ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად /სახელმწიფო უწყების პარტიული მიზნით გამოყენებას. მაგალითად, თუ ქალი კოორდინატორების შვილებს/ქმრებს მართვის მოწმობა აქვთ ჩამორთმეული, მათ პირდებიან, რომ არჩევნებში დახმარების სანაცვლოდ, მათ ამ მოწმობებს დაუბრუნებენ, თუ კარგად გასწევენ სახელისუფლებო პარტიისთვის აგიტაციას. ხოლო, ვისაც საპატიმროში ჰყავს შვილი, მას პირდებიან გათავისუფლებას. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ პატიმრის დედას არ მისცეს უფლება, ოპოზიციური პარტიის კოორდინატორი ყოფილიყო, მაგრამ სანაცვლოდ, გაათავისუფლეს მისი შვილი.

„ჩვენ რაიონში მსმენია, რომ ერთ-ერთ კოორდინატორ ქალს, რომლის შვილიც იყო პატიმარი, არ მისცეს ოპოზიციური პარტიაში მუშაობის შესაძლებლობა, სანაცვლოდ კი გაათავისუფლეს მისი შვილი“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კვლევამ გამოავლინა, რომ ასეთი ფაქტები ხშირი არ არის, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, თუ გამარჯვებული პარტიის მხარდამჭერი კოორდინატორები კარგად იმუშავებენ, პირიქით, მათი დასაქმება და წახალისება ხდება, რაც, ასევე, შეიძლება, ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად იქნეს მიჩნეული.

„ქალი კოორდინატორები ეხლანდელმა მთავრობამ ყველანი შეიყვანა საჯარო სამსახურში და ჩვენ დაგვტოვა გარეთ... (იცინის)“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ასევე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არჩევნების შემდეგ, კოორდინატორებს მათი „ერთგულების“ სანაცვლოდ, უკანონოდ ახალისებენ, მაგალითად, საპატრულო ჯარიმებს უხსნიან მათ შვილებსა და ქმრებს.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ადევნება არჩევნების დღეს

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი კოორდინატორი ქალი ოპოზიციური პარტიიდან გვიამბობს, ის შესწრებია გადასატანი ყუთის თანხმლები კომისიის წევრი ქალისთვის იძულებით გადაადგილების შეზღუდვის მოვლენას. მისი თქმით, არჩევნების დღეს მისი პარტიის წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალი ხანდაზმულ ადამიანთან წასაღებ გადასატან საარჩევნო ყუთს გაჰყვა. როდესაც ეს ქალი ოთახში შევიდა, ის ამომრჩეველთან ჩაკეტეს და წავიდნენ. რესპონდენტის თქმით, პარტია მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ეძებდა აღნიშნულ ქალს, საქმეში პოლიციაც ჩართეს და მერე როგორც იქნა, ვიღაცამ აღიარა, რომ მწოლიარე მოხუცთან ერთად იყო ჩაკეტილი. ტელეფონი ახალგაზრდა ქალს ჩამორთმეული ჰქონდა. შესაბამისად, მან ვერ მოახერხა დასახმარებლად ვინმესთან დარეკვა. რესპონდენტის თქმით, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ გადასატანი ყუთისთვის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალი კოორდინატორი ჩამოეშორებინათ, რათა მას არ გაეკონტროლებინა სიტუაცია.

კვლევამ გამოავლინა, რომ არჩევნების დღეს, შესაძლოა, გავრცელებულია კოორდინატორების მძღოლების დაშინება, ან კოორდინატორი ქალის მანქანაზე უკანონო ადევნება და ავარიული მდგომარეობების შექმნა. ერთ-ერთი რესპონდენტი კოორდინატორი ქალი ამბობს, რომ მის მძღოლს დაემუქრნენ.

> „მყავდა აყვანილი მძღოლი, რომელსაც მოყავდა ჩემი სოფლის წარმომადგენელი მოქალაქეები. იყო მუქარები. ამასთან დაკავშირებით იყო გაღიზიანება, რატომ მოგყავს ეს ხალხი, ანუ რატომ ეხმარები მათ და იყო ესეთი სიტყვები, რომ ფეხებს დაგიხვრიტავ, „პაკრიშკებს“ დაგიხვრიტავ, რატომ ბედავ ესეთ რაღაცეებს და ამ მომენტში იყო ჩვენი შელაპარაკება“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ხოლო, სხვა რესპონდენტი იხსენებს, როგორ აედევნა მათ მანქანას ვიღაც და ავარიული სიტუაცია შეუქმნა დაშინების მიზნით.

> „მძღოლად აყვანილი მყავდა ერთი გოგონა. მანქანა გამოგვყვა, იმიტომ რომ იცოდნენ ჩემი მანქანა. ბავშვები გვესხდნენ მაშინ მანქანაში და ცოტა დააკლდა იმ ვიღაცას (უნომრო მანქანა იყო შავი, სედანის ტიპის), რომ ბავშვები კინაღამ ჩაგვიხოცა... ავარიულ სიტუაციებს გვიქმნიდა, სანამ არ გავაჩერეთ მანქანა და მართლა ფეხით არ გავეკიდე ამ პიროვნებას. რომ მივედი უკვე, რომ უნდა გადმომეყვანა მანქანიდან, უკვე დაქოქა მანქანა და წავიდა. უნომრო მანქანა იყო...“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

სექსუალური შევიწროება

სექსუალურ შევიწროებაზე რესპონდენტების უმრავლესობას ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა. მათ თითქოს პირად შეურაცხყოფად მიაჩნიათ მსგავსი შეკითხვის მათი მისამართით დასმაც კი და ამბობენ, რომ ასეთი არაფერი ხდება. რესპონდენტების უმრავლესობა ამ შეკითხვას თითქმის სტანდარტული ფრაზით პასუხობდა - „როგორ გეკადრებათ, მსგავსი არაფერი გადამხდენია“. როდესაც მკვლევარი ცდილობდა, ჩასძიებოდა ამ მოვლენას, მიგნებები სამი მიმართულებით გაიშალა: ერთი, რომ სექსუალური შევიწროება და მის შესახებ არსებული რეალობა, შესაძლოა, კოორდინატორებისთვის უცნობია, მეორე ის, რომ როდესაც საუბრობენ სექსუალურ შევიწროებაზე, მხოლოდ სიტყვიერ სექსუალურ შევიწროებას იხსენებენ რესპონდენტები და მესამე: ე. წ. საზოგადოდ გავრცელებული

დამოკიდებულებების შედეგის გავლენით, კოორდინატორმა ქალებმა იციან, რომ თუ სექსუალურ შევიწროებაზე დაიწყებენ საუბარს, ისევ მათთვის შეიძლება, აღმოჩნდეს ეს წამგებიანი და ისევ თავად გახდნენ ე. წ. „სახელის გატეხვის“ მსხვერპლნი. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი უხერხულობას განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებაზე საუბრისას:

> „უი, არა, არა, სექსუალური შევიწროება არა (იცინის). ჩვენთან მსგავსი რამ ნამდვილად არ ყოფილა. არც ოცნებიდან არ გამიგია მსგავსი რამ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

სხვა რესპონდენტი იხსენებს, რომ საარჩევნო უბანზე ხშირად შეხვედრია სიტყვიერ სექსუალურ შევიწროებას ქალი კოორდინატორების მიმართ, მაგალითად, ე. წ. „კაი ბიჭებისგან“. აქვე, საინტერესო ფაქტი გამოვლინდა, რომ სახელისუფლებო პარტია ე. წ. უბნის „კაი ბიჭების“ როტაციას ახდენს უბნებს შორის, რომ აღნიშნულმა პიროვნებებმა სექსუალურად თავისუფლად შეავიწროვონ (დაცინვა-უხამსი სიტყვებით) სხვა უბნელი ქალი კოორდინატორები და არ მოუწიოთ საკუთარი უბნელი ქალი კოორდინატორების შევიწროება. სავარაუდოდ, ეს როტაცია სწორედ ამის გამოა მოგონილი, რომ საკუთარი უბნელი ქალების მიმართ მათ ამის გაკეთება გაუჭირდებოდათ, შერცხვებოდათ და მოერიდებოდათ.

ბიულეტენისთვის ფოტოს გადაღება (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, სსკ 164-ე მუხლი)

კვლევამ გამოავლინა, რომ კოორდინატორ ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი ტიპის აქტორია ე. წ. „პარტიული პოლიცია“, რომელიც კოორდინატორებს აიძულებს, მოიტანონ ამომრჩეველთა პირადობის მოწმობები, პირადი ნომრები, ბიულეტენის ფოტოები და ა. შ. ეს განსაკუთრებულ დისკომფორტს, უხერხულობასა და დაძაბულობას უქმნით ქალ კოორდინატორებს, რომლებსაც ინფორმაცია არ აქვთ, როგორ დაიცვან თავი საკუთარი პარტიის წევრი ე. წ. „პარტიული პოლიციისგან“.

როგორც ერთ-ერთი კოორდინატორი ამბობს, პარტიები ხშირად ბიულეტენის ფოტოს გადაღებას სთხოვენ კოორდინატორ ქალებს, რომ მართლა დარწმუნდნენ მათი აგიტაციის შედეგიანობაში. ამის სანაცვლოდ, ხშირად ხდება კოორდინატორების მოსყიდვა - როგორც რესპონდენტი ამბობს, არიგებენ ზეთს, მაკარონს, ხორცს.

„კი, ბატონო, ეს ბიულეტენზე ფოტოს გადაღება, რომ მართლა მიეცი ხმა, ამით ადასტურებენ... კი, ბატონო, სანაცვლოდ კოორდინატორებთან არიგებენ ზეთს, მაკარონს, ხორცი დაარიგეს ბოლოს...“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ქვეყნის იძულებით დატოვება არჩევნების შემდეგ

კვლევამ გამოვლინა, რომ შესაძლოა, პარტიულ კოორდინატორ ქალებს, თუ მათი პარტია არჩევნებში დამარცხდება, მოუწიოთ ქვეყნის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა, მათი საქმიანობის გამო. ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი აღნიშნავს, რომ მას მოუწია საჯარო სამსახურის დატოვება და საზღვარგარეთ წასვლა. მისი თქმით, ეს გამოიწვია „მთავრობის ცვლამ და პოლიტიკურმა ნიშანმა“. უფრო კონკრეტულად, მას მერე, რაც მისი პარტია დამარცხდა და სხვა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა, ამ უკანასკნელმა საკუთარი კოორდინატორები დაასაქმა საჯარო სამსახურში, მას კი მოუწია როგორც სამსახურის, ასევე, ქვეყნის დატოვება, ვინაიდან მის წინააღმდეგ სიტყვიერი დაშინება და მუქარა გამოიყენებოდა.

მოუწესრიგებელი შრომითი ურთიერთობები

კვლევამ შეაგროვა ინფორმაცია კოორდინატორი ქალების შრომით უფლებებზე. ქალ კოორდინატორებს უჭირთ საუბარი შრომით კონტრაქტებსა და ანაზღაურებაზე. აქ კვლევამ გამოამჟღავნა განსხვავება. სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი კოორდინატორები ამბობენ, რომ ისინი კონტრაქტებით მუშაობენ და პარტია მათ თანხას დროულად ურიცხავს, ხოლო ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა კოორდინატორების უმეტესობამ თქვა, რომ საქართველოში ქალ კოორდინატორებს კონტრაქტები არ აქვთ. ამ საკითხზე საუბრისას, თხრობის ნაკადში შეიმჩნეოდა უხერხულობისა და შიშის განცდა. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი პარტიასთან შეთანხმება სიტყვიერია. აქ შემოდის უცნაური დამოკიდებულება თვითონ კოორდინატორების მხრიდან: ისინი ამბობენ, რომ ერთგული თანამშრომლები არიან და თანხა და კონტრაქტი არ აინტერესებთ. ისევე,

როგორც სექსუალურ შევიწროებაზე, აქაც, ღიად საუბარი ძალიან უჭირთ, ვინაიდან ფულზე ლაპარაკი და ფულის შოვნის სურვილის დაფიქსირება, ისევ ასეთი სურვილის მქონე ადამიანების მიმართ იწვევს საზოგადოებაში აგრესიას. ამიტომ, ამ საკითხზე საუბრის დროსაც, რესპონდენტები ცდილობდნენ, ე. წ. საზოგადოებრივი აზრის გავლენის მიხედვით გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები. შესაძლოა, ისინი ფიქრობენ, რომ თუ ფულზე დაიწყებენ საუბარს, ისევ მათ გარიყავენ. ეს კი, სავარაუდოდ, ამძიმებს მათ ექსპლუატაციას. ზოგიერთი კოორდინატორი იმასაც ამბობდა, რომ ყველაფერი კანონიერად გაფორმდა, თუმცა, ვერ იხსენებდა კონტრაქტს. მაგრამ მტკიცედ იმეორებდა ამ ფრაზას: „ყველაფერი კანონიერად იყო“. შესაძლოა, მათ თავად აქვთ ამ უკანონობის შიში და ეს კიდევ ერთხელ გამოიყენება პარტიების მხრიდან მართვის ბერკეტად. „არ მახსოვს, მქონდა თუ არა კონტრაქტი“ - ერთ-ერთი გავრცელებული პასუხია რესპონდენტების მხრიდან.

> „ნამდვილად არ მახსოვს, ხელშეკრულება გავაფორმე თუ არა იმ მომენტისთვის, ვერ ვიხსენებ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ კოორდინატორებად ძირითადად დაბალი სოციალური ფენის და გაჭირვებულ ქალებს ასაქმებენ, რათა ადვილი იყოს მათი მართვა, მანიპულაცია და ექსპლუატაცია.

> „კონკრეტულად ისეთ ადამიანებს ნიშნავენ კოორდინატორებად, რომ იმათში დარწმუნებულები არიან მეტ-ნაკლებად. ამავდროულად, ითხოვენ კიდევ ოჯახის წევრების, ახლობლების და ნათესავების მოყვანას უბანზე და თან პლუს, ამას აკონტროლებენ“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

კოორდინატორები აღნიშნავდნენ, რომ მათი პარტია არიგებს თანხებსა და ჰონორარებს, მაგრამ სხვა პარტიის წარმომადგენლები ატყუებენ ქალებს, არ აძლევენ ანაზღაურებას, ან უგვიანებენ ხელფასს. გამოდის, რომ ყველა პარტიის წარმომადგენელი აგვიანებს, ან არ აძლევს ჰონორარს ქალ კოორდინატორებს, უბრალოდ, შიდა პარტიული ერთგულების გამო, საკუთარი პარტიის მანკიერებებზე საჯაროდ, შესაძლოა, არ ლაპარაკობენ.

კვლევამ გამოვლინა, რომ შეიძლება, პარტიამ კოორდინატორების ხელფასი აღარ გადაიხადოს და ვინაიდან კოორდინატორებს სულ ნაცნობები ჰყავთ დასაქმებული კოორდინატორებად, მათ საკუთარი ჯიბიდან მოუწიოთ ამ თანხების გადახდა.

„პირადად, როცა მე მყავდა უბანი, მე თვითონ კონტრაქტს არ ვუდებდი, ზეპირ შეთანხმებაზე მყავდა ხოლმე და მინდა, გითხრათ, ეს ძალიან ცუდია, რადგან შემდეგ უკვე უბანზე, ჩვენ ვისაც ვაბარივართ ზევიდან, ხშირად კოორდინატორები ტყუილების მსხვერპლი გამხდარან, ვგულისხმობ, რომ დაპირებული თანხა არ მიუციათ და ყოფილა მერე თვითონ ჩვენ, ვისაც უბნები გვქონდა, ჩვენ ჩვენი თანხებით გაგვისტუმრებია, ანუ, ეს კოორდინატორები, ვისაც ვამუშავებდით, ჩვენი თანხებით გადაგვიხდია და ა. შ.“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

ასევე, გამოვლინდა ჰონორარის ნახევრად გადახდის პრაქტიკა. შეიძლება, მთლიანად არ „გადააგდონ“ კოორდინატორი ქალები, მაგრამ არც სრული თანხა მისცენ. კვლევის რესპონდენტი კოორდინატორები თანხმდებიან, რომ თავად არ ითხოვენ კონტრაქტებს და მოგვარებულ შრომით ურთიერთობებს და ამ მიმართულებით, კოორდინატორი ქალების ცნობიერება ასამაღლებელია.

გენდერულ როლებზე მოლოდინი და ონლაინ სექსისტური სიძულვილის ენა

კვლევამ გამოავლინა, რომ შესაძლოა, კოორდინატორი ქალის ქმართან მივიდნენ და მას სთხოვონ ცოლის „გაჩერება“. როგორც ჩანს, გამოყენებულია გენდერული როლიდან გადახვევაზე ინსპექტირების მეთოდი, რომ ქალის ქუჩაში გასვლა და აგიტაცია „კარგი ქალის“ როლური ქცევა არ არის, ხოლო ამ „ცუდი ქცევის“ აღკვეთა ოჯახის უფროსმა, ანუ კაცმა უნდა ითავოს.

„ჩემს მეუღლეს დაემუქრნენ კიდევაც, რომ ნუღარ ამუშავებო თქვენს მეუღლესო, რომ ხომ იციო, რა იმაშიც ვცხოვრობთო, რა. ჩემმა მეუღლემ უთხრა, არ მეშინიაო მეო და ხალხმა გადაწყვიტოსო. არ შევუშინდი, თორემ ისე, მუქარა ბევრი იყო“ (კოორდინატორი ქალი, ოპოზიციური პარტია).

და ბოლოს, კვლევამ გამოავლინა კოორდინატორი ქალების წინააღმდეგ ონლაინ არსებული სექსისტური სიძულვილის ენა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი კოორდინატორი ქალი ამბობს, ზოგჯერ ხდება მათი შერცხვენა რაღაც სექსუალური შინაარსის კომენტარებითა და პოსტებით, რომელშიც როგორც პარტიული ბოტები, ასევე, საჯარო მოხელეები არიან ჩართულნი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ მან ფეისბუკზე ფოტო დადო მისი პარტიის წარმომადგენელთან, რომელსაც ეგრევე მოჰყვა ქილიკი და ე. წ. ბოზობით შერცხვენა, თითქოს ეს კოორდინატორი ქალი პარტიულ კაცთან რაღაც ურთიერთობაში შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ქალმა კოორდინატორმა თქვა, მას ბრალი დასდეს პარტიის ლიდერის „შეყვარებაში", მხოლოდ იმიტომ, რომ ფოტო გადაიღო მასთან.

შეჯამება და რეკომენდაციები

კვლევამ გამოავლინა, რომ არჩევნებში კოორდინატორი ქალები სხვადასხვა ტიპის რისკებისა და გამოწვევების წინაშე დგანან. მათი, როგორც ქალების, უფლებები ირღვევა ყველგან: როგორც პარტიის შიგნით, ასევე - გარეთ, რაც კოორდინატორების მიმართ მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების, მათზე საჯარო მოხელეებისა და სხვადასხვა აქტორების მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, პარტიებში არარეგულირებული სამუშაო პირობების, მოუწესრიგებელი შრომითი ხელშეკრულებებისა და სხვა სამართლებრივი გარანტიების ნაკლებობითაა გამოწვეული. შესაბამისად, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები შემუშავდა როგორც პოლიტიკური პარტიებისთვის, ასევე - პარტიის გარეთ არსებული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რომელთა ჩართულობასაც არჩევნებში ქალი კოორდინატორების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია შეუძლია. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის.

რეკომენდაციები შემუშავდა "საფარისა" და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) ერთობლივი მუშაობით.

რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისთვის:

- საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის დაქირავებული ქალი კოორდინატორების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით, პარტიებმა მათთან ინდივიდუალური შრომით ხელშეკრულებები უნდა გააფორმონ, რითიც დეტალურად დარეგულირდება მხარეთა უფლება-მოვალეობები და სამუშაო პირობები, მათ შორის - დასაქმებულის ანაზღაურება და გადახდის ვადები;

- ქალ კოორდინატორთა შრომითი ანაზღაურება უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით, რაც, ერთი მხრივ, შეზღუდავს კამპანიისას, არადეკლარირებული ფინანსური რესურსების ბრუნვას და, მეორე მხრივ, მეტად თვალსაჩინოს გახდის პარტიის წინაასაარჩევნო ხარჯის რეალურ ოდენობას;

- აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ჩატარება. დამატებით, პარტიებმა უნდა გადაამზადონ საკუთარი ქალი კოორდინატორები არჩევნებისას გენდერული ნიშნით ძალადობის, ქალთა მიმართ უფლებების დარღვევის, ზოგადად, შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირების, კრიზისულ სიტუაციაში ქცევისა და კონფლიქტის თავიდან

არიდების წესებთან დაკავშირებით. მათ ქალ კოორდინატორებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, როგორ მიმართონ შესაბამის ორგანოებს საფრთხეში აღმოჩენის ან/და მათი უფლებების დარღვევისას, ასევე, თუ როგორ მიმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას იმ შემთხვევაში, თუ გენდერული ნიშნით მოძალადე პოლიციელია;

- მმართველმა პარტიამ უარი უნდა თქვას კოორდინატორებად საჯარო მოხელეთა, მათ შორის, სკოლისა და ბაღის მასწავლებლების დასაქმების პრაქტიკაზე, რაც ამ სექტორის პოლიტიზაციისა და სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვრის წაშლის ერთ-ერთი მიზეზია;

- პარტიებმა უნდა უზრუნველყონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კოორდინატორებისათვის მიყენებული ზიანის, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზღვევა და ანაზღაურება;

- პარტიებმა უარი უნდა თქვან კოორდინატორებისთვის ისეთი დავალებების მიცემაზე, რომელშიც, შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულის ან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ნიშნები იკვეთება ან/და საფრთხის შემცველია ქალი კოორდინატორებისთვის.

რეკომენდაციები საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის:

- სასურველია, ორგანიზაციებმა დაიწყონ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები პარტიის კოორდინატორი ქალების როლისა და მდგომარეობის შესახებ, რათა შემცირდეს არჩევნებისას კოორდინატორი ქალების მიმართ აგრესია საზოგადოების მხრიდან;

- დამატებით, ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ პარტიის კოორდინატორების ცოდნის ამაღლებას, საარჩევნო პროცესების სამართლებრივი ჩარჩოსა და მათი უფლებების (შრომითი, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, უსაფრთხოების) დაცვის შესაძლებლობების შესახებ;

- ასევე, უნდა იმუშაონ პარტიის კოორდინატორების მედეგობის გასაზრდელად სხვადასხვა ტიპის ზეწოლის (მაგალითად, უკანონო დავალებების შესრულება, კენჭისყრისას ხმის ფარულობის დარღვევის იძულება და ა. შ.) მიმართ;

- აუცილებელია, ქალ კოორდინატორებს არჩევნებისას გაუწიონ უფასო იურიდიული დახმარება, მათ მიმართ გამოვლენილი გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები საარჩევნო ადმინისტრაციას:

- საარჩევნო ტრეინინგის მოდულში უნდა ჩართოს ინფორმაცია გენდერული საკითხების, კერძოდ, ქალთა მიმართ არჩევნებში არსებული გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ;

- უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კომისიებში პარტიის მიერ დანიშნული წევრების პოლიტიკურ აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ სამართლებრივი წესების შესრულება;

რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებს:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომელთათვის უნდა შეიმუშაოს სამოქმედო წესები და გაიდლაინები, არჩევნებში ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირებისთვის;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ეფექტიანი რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიციელის მიერ საარჩევნო პროცესში უკანონო ჩართულობის, უფლებამოსილების გადაჭარბების ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, UN WOMEN, UNDP, 2017;

2. “ქალები პოლიტიკურ პარტიებში: მითების დეკონსტრუქცია”, საფარი, UNDP, 2017;

3. სექსისტური სიძულვილის ენა ქართულ მედიაში, საფარი, მედიის განვითარების ფონდი, 2020;

4. UN Women and UNDP, Preventing Violence Againts Women in Elections: programme guide; 2018;

5. Krueger, A & Casey, M, Focus Groups, A Practical Guide for Applied Research 5th Edition, 2015.

საფარი
SAPARI

ISFED

Kingdom of the Netherlands



თბილისი
2023